ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1429742

ნომერი: AR1243266

თარიღი : 08.08.2014

გაცემის თარიღი : 12.08.2014

გაცნობის თარიღი : 13.08.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მასივი დიღომი , კვარტალი VI , კორპუსი 4 , მიმდებარე ტერიტორია ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარ ტალიაშვილი პ/ნ 01013005673
- ხახანაშვილის 4

ორგანიზაცია:
- შპს ტალი დეველოპმენტი კოდი: 406045541

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიღმის მასივში, VI კვარტალი, კორპუსი #4-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.03.033.015) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა განიხილოს საკითხი, საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ საპროექტო ობიექტის ესკიზი (ფოტომონტაჟი არსებულ გარემოში) პარკირების და მისასვლელის ჩვენებით.

ასევე, სამსახურისთვის გაურკვეველია მოთხოვნა, ახდენთ არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციას, თუ, დემონტაჟს და ახალი ობიექტის განთავსებას. გთხოვთ, დახარვეზებული მოთხოვნის ტექსტში დააკონკრეტოთ მოთხოვნა.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 8 აგვისტოს. საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 3 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნის დასაკონკრეტებლად და დოკუმენტაციის წარმოსადგენად. რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 9 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება დაკონკრეტებული მოთხოვნა და წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

ტექნიკური გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს #2378346;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.